თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2170676

ნომერი: AR1337797

თარიღი : 27.08.2015

გაცემის თარიღი : 04.09.2015

გაცნობის თარიღი : 15.09.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანაპირო , N8ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ვადაქარია პ/ნ 42001011168
- თბილისი ძმ.კაკაბაძეების ქ. N 19

ორგანიზაცია:

- შპს დაიკინ ჯორჯია კოდი: 404484170

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N8ა–ში არსებული შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე თანხმობის გაცემას.
გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით N01.15.03.004.001 საზღვრების კორექტირების შედეგად ფიქსირდება საპროექტო მიწის ნაკვეთისა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით N01.15.03.004.070 საკადასტრო საზღვრების გადაფარვა, ამასთან სარეკონსტრუქციო შენობა ნაწილობრივ განთავსებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით N01.15.03.004.070 ტერიტორიაზე.
განგიმარტავთ, რომ საქართველოს მთავრობის 57-ე დადგენილების მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ სურვილი საკუთარი მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე განათავსონ საერთო საკუთრების შენობა-ნაგებობა (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა), მაშინ ისინი ვალდებულნი არიან გააერთიანონ საკუთარი მიწის ნაკვეთები და დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნული არ ვრცელდება ინდივიდუალური განაშენიანების ტერიტორიებზე საზიარო კედლის მქონე საცხოვრებელი სახლის ან საერთო სარგებლობის სამეურნეო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია ერთი შენობა-ნაგებობის ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე განთავსება. საჭიროა განხორციელდეს მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის (საკადასტრო საზღვრების) ცვლილება ისე, რომ არსებული შენობა-ნაგებობა მთლიანად ექცეოდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან საზღვრების გადაფარვის გარეშე. შესაბამისად, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

ამასთან, ვინაიდან საპროექტო ფოტომონტაჟზე ნაჩვენები სამუშაოები დღეის მდგომარეობით უკვე განხორციელებულია, სამსახურს მიეცემა საკითხის განხილვის შესაძლებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.